ხობის მოამბე

№9 (7104) 15 სექტემბერი, შაბათი, 2018 წელი.

ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უკეთესი რამაა საკუთარ საკუთრებაში. საკა ონდა ვალიანთ, თვი ყველაფერ ჩვენთან... ყოველი საკუთრებრივი, თვალსა ფრესეულ ცოდვათ თუ ფეხრალ ვალიანი, ხანგრძ-ხანგრძლივად ანის ვალყოფილი, თორე მოვალა ვალ ინგრევთანა აკეთილი იყოს.“

17 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი იწყება! გილოცავთ!

„ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს

„სალომე ზურაბიშვილს ზურგს უმაგრებს დიდი პოლიტიკური გამოცდილება, ასევე დიპლომატიური გამოცდილება. მას შეუძლია გახდეს საქართველოს ისტორიაში პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი. ვფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილს შეუძლია დაამკვიდროს ახალი ტრადიცია ჩვენს კონსტიტუციურ სისტემაში. მას შეუძლია პრეზიდენტის უფლებამოსილებები განახორციელოს არა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა ან ჯგუფის, არამედ ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებზე დაყრდნობით. ქართულ საზოგადოებას მოვუწოდებ, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მხარი დაუჭიროს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას“,–განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველთა განაცხადების მიღება 8 სექტემბერს დასრულდა. ცესკო-ში სულ 46 განაცხადი შევიდა. მათგან 26 საინიციატივო ჯგუფის, ხოლო 20 პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატია.

კანდიდატად რეგისტრაციის მსურველებმა 10 დღის ვადაში საარჩევნო ადმინისტრაციაში მხარდამჭერთა ხელმოწერები უნდა წარადგინონ.

„ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატი არ ეყოლება.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს გაიმართება.

მოსწავლეებო, მასწავლებლებო, სტუდენტებო, მშობლებო, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სკოლამდელი საგანმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც პირველად შეაღებენ უმაღლესი სასწავლებლის კარებს.

ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი მოაზროვნე, განათლებული და მოტივირებული ახალგაზრდების ხელშენყობა და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, ჩვენ უნდა შევუქმნათ ყველა პირობა, რათა ხარისხიანი განათლება მიიღონ. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო პედაგოგებსა და მშობლებს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ და თავდაუზოგავი შრომის შედეგად ზრდიან ღირსეულ მამულიშვილებს.

გისურვებთ, ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს საინტერესო და ნარმატებებით გამორჩეული.

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
ხობის მაჟორიტარი დეპუტატი
საქართველოს პარლამენტში.

ძვირფასო პედაგოგებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო, მშობლებო გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

განსაკუთრებით ვულოცავ მათ, ვისთვისაც ეს დღე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარია–ვინც პირველად შეაღებს სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის კარს.

განათლება ქვეყნის პრიორიტეტია, ფასეული და საღი აზროვნების მქონე თაობის ჩამოყალიბების ქვაკუთხედია, ნარმატების სანინდარია, საყრდენია, იმედია მომავლის.

მომავალი თაობის ნარმატება ჩვენი სიამაყეა, თითოეული პედაგოგის დიდი გამარჯვებაა.

შემეწყნებითი სიხარულით აღსავსე, ნარმატებულ, საინტერესო სასწავლო წელს გისურვებთ ოდნის საუფლოში!

ბეატრისა რუსია,
ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

მოსწავლეებო, სტუდენტებო, მასწავლებლებო! მშობლებო გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! გამორჩეულად ვულოცავ პირველკლასელებსა და პირველკურსელებს–მათთვის ხომ ეს დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია. მინდა, ყოველ თქვენგანს ვუსურვო ახალი ენერგიითა და შემართებით სწავლის გაგრძელება. სწორედ, სკოლაში მიღებული ოდნავ მყარი საფუძველი და გარანტი საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღის.

მომავალი თაობების სწავლა-განათლების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი და პასუხისმგებლობა პედაგოგებს აკისრიათ. აღზარდო ქვეყნის მომავალი თაობა,–ეს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა. კიდევ ერთხელ გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ ნარმატებებს და ნაყოფიერ საქმიანობას ქვეყნის საკეთილდღეოდ!

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

უდიდესი პატივისცემითა და სიხარულით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას პედაგოგებს, მშობლებს და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომელთა უპირველესი მოვალეობა ქვეყნის წინაშე სწავლა-განათლებაა, თქვენ უნდა განავითაროთ თქვენი ინტელექტუალურ- შემეწყნებითი პოტენციალი, ფიზიკური და სულიერი თვისებები, ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგჭირდებათ, რათა სწორად განსაზღვროთ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური, ინტელექტუალური და პოლიტიკური ინტერესები, შექმნათ ბედნიერი მომავალი და შეუერთდეთ თავისუფალ მსოფლიოს ღირსეულ მოქალაქეებად!

ფასდაუდებელია პედაგოგების ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე, თქვენ აყალიბებთ განვითარებისა და წინსვლის საფუძველს–განათლებულ და გონიერ თაობას. გისურვებთ ნარმატებებს და ულევ სიხარულს პროფესიულ საქმიანობაში და ბედნიერ მომავალს!

ხელისუფლება მუდამ იზრუნებს ახალგაზრდობის განათლებისა და მრავალმხრივი განვითარების საჭირო გარემოს შექმნისთვის.

გისურვებთ ნარმატებულ სასწავლო წელს, ღმერთმა გაგაძლიეროთ და მოგმადლოთ ნიჭიერება და სწავლისმოყვარეობა.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ვულოცავთ!

ხობელი 13 წლის მოჭადრაკე დიანა ლომაია მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაშია.

საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, დიანას პირველი მწვრთნელის მამუკა გეთიას ინფორმაციით ეს არის სამეგრელო ზემო სვანეთის ჭადრაკის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი.

რეგიონში ასეთი პატივი მას პირველად ერგო.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი ბერაია აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ ბიზნესის განვითარებისთვის მორგებული საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკის განხორციელებას აგრძელებს

მისი თქმით, აღნიშნული ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად, კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტებთან ითვალისწინებს.

„საბაჟო კოდექსის პროექტი სრულად პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს, რაც მნიშვნელოვანი სტიმული გახდება ევროკავშირიდან ინვესტიციების მოსაზიდად და ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად გამარტივდება საქართველო-ევროკავშირს შორის საბაჟო პროცედურები, კერძო სექტორს შეუმცირდება საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯები, შეიქმნება ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემო, მარტივი და სამართლიანი წესები.

საბაჟო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, საქართველო იქნება პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ახალი საბაჟო კანონმდებლობითაც სრულად უპასუხებს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში“,–განაცხადა ირაკლი ბერაიამ.

ის, რაც დაუგროვდა სათქმელად...

თორსა დღვაბა ერთ-ერთი გამორჩეული და საკმაოდ დიდი სოფელია ხობის მუნიციპალიტეტში. შორეული წარსულიდან დღემდე, სოფელსა და მის მაცხოვრებლებს მნიშვნელოვანი წვლილის დადება უწევდათ ხობისა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის წინსვლაში. მათი ყოველდღიური ყოფა უმჯობესდება, მაგრამ პრობლემები აქ და ყველგან, მაინც ბევრია და აუცილებლად მოსაგვარებელი.

„ხობის მოამბე“ ხშირად აქვეყნებდა სოფლის ყოველდღიურობას, თუმცა თითქმის რამდენიმე თვეა გაზეთის ფურცლებმა ვერ გააშუქა სოფელში გასაკეთებელი თუ გაკეთებული საქმეები. ალბათ ამიტომაც ბატონ ედემ ლატარიას ბევრი რამ დაუგროვდა სათქმელი.

თუ რა გაკეთდა სოფელში მისი ხელმძღვანელად დანიშვნიდან დღემდე ხალხის უკეთესი მერმისისთვის, მიმდინარე თუ სამომავლოდ დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან და რა კეთდება პრობლემათა დასაძლევად, რა არის დღეს №1 საზრუნავი, გვესაუბრება ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი თორსადღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ***ედემი ლატარია.***

გთავაზობთ მასთან საუბარს:

–ჩემი მუშაობის პერიოდში სოფელში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის საკეთილდღეოდ. კერძოდ, სოფელში მოხდა ელექტროენერგიის გამრიცხველიანება, ჩატარდა ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სამელიორაციო სამუშაოები, ჩაუტარდა რემონტი და მთლიანად მოწესრიგდა წყალსადენის სისტემა, ასევე დაიწყო მისი გამრიცხველიანების პროცესი, თუმცა ეს საკითხი ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სოფლად წყალმომარაგების ახლადშექმნილი „აიპი“, რომელიც. იმედია, საბოლოოდ მოაწესრიგებს სოფლად წყალმომარაგებაში არსებულ პრობლემას ჩვენი სოფლის მაგალითზე;

სოფლის ცენტრში მოწესრიგდა სამამულო ომის ვეტერანთა და 9 აპრილის მემორიალები;

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხობის ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით რემონტი ჩაუტარდა და მოწესრიგდა ადმინისტრაციული ერთეულის სააქტო დარბაზი, სოფლის ბიბლიოთეკა, სამკითხველო ოთახი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით, ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის მიდამოებში განთავსდა ნაგვის ყუთები, რამაც რადიკალურად გააუმჯობესა არსებული ეკოლოგიური გარემო...

ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ „ოქროს საწმისის“ ტერიტორიაზე–მდინარე მუნჩიიას სანაპიროზე მოეწყო 1 კილომეტრიანი დამბა, რომელიც მიმდებარე ტერიტორიის საყანე ფართობებს იცავს უხვნალექიანობის დროს დატბორვისგან.

მიმდინარე წელს თორსის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილი იყო თორსადღვაბის დამაკავშირებელი არმირებული ბეტონის საფარიანი 4,7 კმ გზის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებაა 1 750 000 ლარი. სამუშაოები მაქსიმალურად დროულად და ხარისხიანად შესრულდა და უკვე დაგებულია 4კმ გზა, სექტემბრის ბოლომდე კი მთლიანი მონაკვეთის სამუშაობი დასრულდება.

ჩვენი ჯანმრთელობის საქმეს წლების მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებიან სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი, ექიმი მზია ლემონჯარია, გამოცდილი მედდა ლუარა ჩიქოვანი და ოქროს საწმისის დასახლებისთვის განკუთვნილი მედდა ნინო ლომთაძე. მათი შრომის ხელშეწყობა ასევე მოსახლეობაზე ზრუნვის გამოხატულებაა. მიმდინარე წელს დაგეგმილია ამბულატორიის შენობის ფანჯრების შეცვლა თანამედროვე მეტალო- პლასტმასის ფანჯრებით, რაც გააუმჯობესებს ამბულატორიის არსებულ გარემოს.

სოფელში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა მთავარი საზრუნავია მთელი წლის მანძილზე როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ქვეყნის მესვეურთათვის, რადგან მან დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ბაღ-ბოსტნებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან კულტურებს ჩვენი სოფლისთვის–სიმინდსა და თხილს. მიმდინარე წელს ჩატარდა მრავალნაირი ღონისძიება, თერმული ნისლით მრავალჯერ დამუშავდა სოფლის ყველა უბანი, ყველა ქუჩა, საყანე ფართობები მაქსიმალურად და დროულად შეიწამლა. ვფიქრობთ, ამ შრომამ შედეგიც გამოიღო და მოსახლეობა სიმინდის კარგ მოსავალს მიიღებს, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით თხილზე. თხილის პლანტაციების პრობლემები ჯერ კიდევ არაა ამოწურული. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების გამო ქვეყნის მთავრობას, ადგილობრივ ხელისუფლებას, ჩვენი რაიონის მთავარ კოორდინატორს ბატონ თორნიკე თოთოსაშვილსა და მის გუნდს, თითოეულ ადამიანს გაწეული თავდაუზოგავი შრომისთვის, გულისხმიერებისა და თანადგომისთვის. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ამ დიდი პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ დაძლევა.

სოფლის მოსახლეობას, ქვეყნის მომავალს ემსახურება საჯარო სკოლა, რომელსაც წარმატებული დირექტორი მაგდანა ცქიტიშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს და სკოლის ღირსეულ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად სახელოვან ტრადიციებს აგრძელებს. მიმდინარე წელს თორსის საჯარო სკოლა დაამთავრა 13 ახალგაზრდამ, მათგან 8 აბიტურიენტი იყო, 4 ჩაირიცხა სასურველ უმაღლეს სასწავლებელში.

ახალი სასწავლო წლისთვის სკოლას, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული სამზადისი აქვს, რათა სკოლის 105 მოსწავლემ, მათ შორის 8 პირველკლასელმა დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით დაიწყოს სწავლა.

სოფლის მოსახლეობის სამსახურშია ასევე საბავშვო ბაღის მასწავლებელთა გუნდი იათამზე შარიას ხელმძღვანელობით. მათი ერთგული შრომა მშობელთა გულწრფელი მადლიერების საგანია მუდამ, მათ ხომ ქვეყნის მთავარი განძი აბარიათ.

რაც შეეხება სოფლის ბიბლიოთეკას, მას ემსახურება გამორჩეული, ნიჭიერი ახალგაზრდა ბიბლიოთეკარი გვანცა კიკალეიშვილი. ის სოფლის ახალგაზრდების ერთგული მეგობარი და სასიკეთო პროექტების ინიციატორია.

სოფელს ასევე გააჩნია კლუბის შენობა, რომელიც უფუნქციოდაა დარჩენილი, რადგან სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. დღეისთვის კლუბის ფუნქციას ადმინისტრაციული ერთეულის სააქტო დარბაზი ასრულებს და საქმიანობას სათავეში უდგას ნინო წულეისკირი.

პრობლემებს რა გამოლევს, თუმცა ჩვენ ვცდილობთ პრიორიტეტების მიხედვით გამოვყოთ ისინი. გზები, წყალმომარაგება და გაზიფიცირება ეს უმთავრესია მათ შორის, რაც მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

და ბოლოს, მოახლოვდა საპრეზიდენტო არჩევნები. როგორ პრეზიდენტს ვისურვებდი? ღირსეულთა შორის ღირსეულს, გამთლიანებული საქართველოს თითოეული მოქალაქის პრეზიდენტს. ჩვენ უნდა ვიამაყოთ შინ და გარეთ ჩვენი გამართლებული არჩევანით.

ესაუბრა ნანი კილასონია.

ღვაწლი

მასწავლებელთა მასწავლებელს, ხობის საპატიო მოქალაქეს, ყველასთვის საყვარელ ადამიანს ბატონ მიშა ბასილაიას ვულოცავთ დაბადებიდან 90-ე წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და მზეგრძელობას. ჩვენ ყველას გვეამაყება და რწმენას გვინერგავს ის, რომ მისი აღზრდილები ვართ.

უფლის მადლი გმოსავდეთ და მისი მადლიანი კალთა გფარავდეთ ტკბილი სიბერის გზაზე, ყველასთვის ძვირფასო ადამიანო.

თქვენი ნამოწაფარები:

ბეჟან ნადარაია, გურამ კვიკვინია, საშა არჩაია, შალვა ჭოჭუა, ნუნუ ბერაია, გურამ ლატარია, ლიანა ბახია, ანზორ ფარცვანია, ნელი შალამბერიძე, ინეზა ქაქუთია.

ოთახებს შვენით წარსული თქვენი...

ქვეყნად რაც ხდება ყველაფერი ღვთის ნებაა. ღმერთი აჯილდოვებს ადამიანებს ჰარმონიული თვისებებით. ინტელექტით, ხასიათით, ერთგულებით, სიკეთით, სიყვარულით. ზოგს ერთს აძლევს, ზოგს–მეორეს, მაგრამ ხდება გამონაკლისი, როცა ყველა ამ სიკეთეს ერთ ადამიანში უყრის თავს. ასეთ ადამიანებს „ღვთის მადლით ცხებულებს“ უწოდებენ.

ბატონი მიშა ბასილაია სწორედ ასეთ ადამიანთა რიგს განეკუთვნება. ბედნიერებაა ამაყობდე მისი გავლილი წლებით, წარსულით, დიდი და თბილი გულით, ძირმაგარი ოჯახით, დახვეწილი ტაქტით, იუმორით, სახელმოხვეჭილი, ვალმოხდილი ჭირისუფალით, ბრწყინვალე მასწავლებლობით, მრავალი ტიტულის ფლობით...

მიუხედავად ასაკისა, მისი გონება და მეხსიერება, ინტელექტი, დაუღალავი ენერგია, შრომისმოყვარეობა, პოზიტიური განწყობა, რწმენა. იმედი, იმისა რომ ქვეყანა გამთლიანდება, გაბრწყინდება და ერი და ბერი ბედნიერი იქნება. მისი გამოხედვა, სითბო, სიყვარული მიგვანიშნებს თუ როგორ არის მხცოვანი, სულით ხორცამდე ქართველი. სხვისი ამაგის დამფასებელი, სიკეთის სიკეთით გადამხდელი, პეწიანი მუდამჟამს მოწესრიგებული, პედაგოგის უდიდესი მადლით ცხებული...

მართალია ბატონი მიშა დღეს არ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ თვალი სკოლისკენ უჭირავს. ოთახებს შვენით მისი წარსული, სადაც ხუთ ათეულ წელზე მეტი იღვაწა. ფიქრიან, მონატრებულ თვალებს კიდევ ერთხელ შეავლებს სკოლის კედლებს. მისთვის სკოლა მთელი სამყაროა, ხოლო ბავშვი მომავალი და იმედი.

ძალიან ბევრი მინდა ვწერო თქვენზე ბატონო მიშა. კალამი თავისდაუნებურად მოძრაობს, მაგრამ თქვენს დამსახურებას ერთი ფარატინა ქაღალდი რას დაიტევს, თქვენზე თქვენი გავლილი წლები ლაპარაკობენ.

თქვენმა სტუმრობამ რედაქციაში ძალიან გამახარა. მამაშვილურად გულში ჩახუტებამ, სითბომ, სიყვარულმა კიდევ ერთხელ გამაბედვინა კრძალვით მოვფერებოდი ცხრა ათეულ წელს მიღწეულ ამ დიდებულ ადამიანს, მის აბობოქრებულ და მშფოთვარე სულს, საქართველოს სიყვარულში დალეულს (დიდი მადლობა). ახალგაზრდა თაობის სუნთქვით გატაცებულს, მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყება.

მჯერა, დღესაც ისეთივე გულისფანცქალით ელოდებით ამ დღეს, როგორც წლების წინ.

ნაირა ბერაია

„ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა“

ახალი სასწავლო წელი მოლოდინებით და გამოწვევებით იწყება...სსიპ ქალაქ ხობის N1 საჯარო სკოლისთვის 2017-2018 სასწავლო წელი გამორჩეული და მნიშვნელოვანი იყო პროექტით, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება. მასში მონაწილეობას იღებენ მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, კურსდამთავრებულები, ადამიანები, რომლებსაც სკოლასთან უშუალო შეხება არა აქვთ, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, რომ მოსწავლეებისთვის სასკოლო გარემო იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო.

რა გვახარებს? თითოეული მათგანის წვლილი და თანადგომა, მათი დამოკიდებულება, ზრუნვა, რომ სასკოლო გარემო გახდეს სახალისო და საინტერესო. ყველა მათგანის სახელს არ ჩამოვთვლით, ძალიან დიდი მადლობა თითოეულ მათგანს, მაგრამ არ შეიძლება არ გამოვყოთ ჩვენი მშობლის–ხობის მონასტრის მოძღვრის დეკანოზ ილია ლომაიას ღვაწლი ამ საქმეში. ტუიის, კიპარისის, კოლხური ბზის, მუხის ნერგებით მწვანდება სკოლის ეზო, ფერადი სკამები, განახლებული ბიბლიოთეკა და საკლასო ოთახები ელოდება მოსწავლეებს.

მსგავსი თანადგომა მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს მოსწავლეებს და მასწავლებლებს. თითოეული ჩვენთაგანის მიერ დარგულმა ხემ უნდა იხაროს, ინფრასტრუქტურას უნდა გავუფრთხილდეთ, განახლბულმა ბიბლიოთეკამ კითხვის სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი....

,, შენ შეგვეწიე, უფალო, რომ ქვით ნაშენები ეგ ჩვენი სკოლა სულიერად აშენდეს და აღორძინდეს; ჩვენმა თავდაუზოგავმა შემართებამ მოიცვას მისი უბრალო დერეფნები და სადა საკლასო ოთახები; შეგვეწიე, რომ ჩვენი გული დედაბოძად შეუდგეს სკოლის შენობას და ჩვენი თავდადება მდიდრული სკოლების მოოქროვილ სვეტებზე უფრო ძლიერი ბურჯი და ჭეშმარიტი განძი გახდეს ჩვენი სკოლისთვის.“

....წინ საინტერესო წელი გველოდება .

ძვირფასო მასწავლებლებო! რადგან ღმერთმა ჩვენ დაგვაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა, ვიყოთ გულანთებული. ლამპრები რომ ავანთოთ, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ!

ქეთევან გაბისონია,
სსიპ ქალაქ ხობის N 1 საჯარო სკოლის დირექტორი.

მოლოცვა სიურპრიზად!

ჩვენი გაცნობა შემთხვევით, ხობის ნოტარიუსის ერთ პატარა ოთახში მოხდა. ორივენი ერთი საქმის გამო, სხვის დასახმარებლად ვიყავით მისულები. იქ გავიგე, ყულეველი პედაგოგი ყოფილა–ნანული სიჭინავა. ძალიან გამიხარდა ყულევის ხსენება. გოგი ხომ იქ წლები მუშაობდა. ვუთხარი, გოგი ბუკიას მეუღლე ვარ მეთქი, ძალიან გაუხარდა. ინანა გოგის გარდაცვალება. განუმეორებელი ადამიანი იყოო და მრავალი სასიამოვნო ეპითეტით შეამკო. ქალბატონ ნანულის ვთხოვე „ხობის მოამბესთვის“ საგაზეთო წერილები მოეწოდებინა. თავად ძალიან კარგად მოსაუბრე აღმოჩნდა. იგი თავაზიანი, განათლებული, საუკეთესო თვისებებით შემკული გახლავთ. ის ყულეველი, იქ დაბადებული კი არა, სოფლის რძალი ყოფილა. ქალბატონი, რომელიც მთელ ყულევს უყვარს, გულისტკივილით აღნიშნა, რომ მასაც მეუღლე გარდაეცვალა (ნათელში ყოფილიყოს!). ბევრ არაფერზე გვისაუბრია, ის ერთიოდე საათიც კი საკმარისი გამოდგა მასზე კარგი ადამიანის შთაბეჭდილება დამრჩენოდა. შემეცნო მისი ბუნება, განათლება, კეთილშობილება, ალალი გული. ე.ი. მისი პიროვნება. შემდეგ გავიგე, რომ ძალიან კარგი მასწავლებელიაო–მათემატიკოსი.

ამ დღეებში სასექტემბრო ნომრის მომზადება დავიწყეთ, უცებ ნანული მომაგონდა, ვიფირე, სიურპრიზად ასე მიმელოცა მისთვის ძალიან საყვარელი დღის–ახალი სასწავლო წლის დაწყება. მჯერა, სკოლა მისთვის მეორე და განუმეორებელი ოჯახია. ბავშვები–მოსწავლეები მისი პატარა მეგობრები, პედაგოგები კი ამ ოჯახის კეთილი, განათლებული და საუკეთესო წევრები.

ნანული ჭუმბურიძე–სიჭინავა იმერეთში, ზესტაფონში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. მათემატიკოსი გახლავთ. ხობში განაწილებით მოხვდა და მუშაობა ყულევში დაიწყო. იქ იპოვნა გულისსწორი კორნელი სიჭინავა და შექმნა ლამაზი ოჯახი.

მან ყულევში მრავალი თაობა დააფრთიანა, რამდენი ბავშვის მეგობარი და აღმზრდელი მასწავლებელია. ორი შვილით ქალ-ვაჟით და ხუთი შვილიშვილით ხარობს.

ქალბატონს, დედას, ბებიას და მასწავლებელს ახარებს ყოველი დღის გათენება. მისი სურვილია, რომ სოფელი გაახაროს, თავადაც გაიხაროს და ყველა ბედნიერი იყოს. ამჟამად სკოლის დაწყების პირველი დღის სამზადისშია.

ნანული, კარგო და თბილო ქალბატონო, სულითა და გულით გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, სკოლის ეზოში ბავშვების ჟრიამულის ხილვას და მათ წარმატებულ ხვალინდელ დღეს. თქვენი ცხოვრება თანასოფლელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ცხოვრების თანმდევია. იხარეთ მათთან ერთად. გისურვებთ მომავალ წარმატებებს, რომელიც ისევ და ისევ ოჯახთან ერთად სკოლას და ბავშვებს უკავშირდება, სკოლას, რომელიც მთელი თქვენი ცხოვრების წარსული და აწმყოა. თქვენი წარსულის ნოსტალგია და ხვალნდელი დღის წარმატებული მომავალის იმედი.

ნანი კილასონია.

ღვაწლი

ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი

აბრაამ ლინკოლმა, ამერიკის პრეზიდენტმა, სანამ მისი შვილი სკოლაში წავიდოდა, წერილი მისწერა შვილის მომავალ მასწავლებელს. პრეზიდენტმა წერილში დიდ სითბოსთან ერთად კარგად დაგვანახა მასწავლებლის, ამ უძველესი, რთული პროფესიის წარმომადგენლების დანიშნულება. ის თხოვდა მასწავლებელს მისი შვილისთვის ესწავლებინა იდეების, ადამიანების რწმენა, სიკეთე, დამარცხება, მაგრამ ამასთანავე გამარჯვებით ტკბობაც, რომ დამარცხება უფრო ღირსეულია, ვიდრე ტყუილი, ესწავლებინა ყველა ადამიანის მოსმენა, ბუნების სიყვარული, წიგნის ფასი, უამრავი სხვა რამ და კიდევ ერთი–გულწრფელი, გულწრფელი ღიმილი. თავად ლინკოლნი (და ალბათ მკითხველიც)ასე აფასებდა ამ მოთხოვნებს „დიდი გამოწვევაა, მაგრამ მსურს დავინახო რა შეგიძლიათ, ის ხომ ასეთი კარგი ყმაწვილია- ჩემი საყვარელი შვილი“. ეს წერილი მეცხრამეტე საუკუნეში დაიწერა, მაგრამ დამეთანხმებით ალბათ, სირთულე და სიმწვავე მოემატა თორემ არ დაკლებია მასწავლებლის პროფესიას და ყოველი ახალი ეპოქა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს პედაგოგებს. შესაბამისად ისმის კითხვა: არიან კი ისეთი მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს სირთულეებს? საბედნიეროდ არსებობენ. ისინი ჩვენს გვერდით არიან და შეიძლება ძნელიცაა მათი შემჩნევა, რადგან უბრალო, ჩუმი ადამიანები არიან, საქმისადმი ერთგულება კი მათი ბუნებაა და არც ცდილობენ მიიპყრონ გარშემომყოფთა ყურადღება. მინდა ერთ ასეთ ადამიანზე შევაჩერო თქვენი ყურადღება. ქალბატონი **იზოლდა გვაგვალია**, ამჟამად თორსის საჯარო სკოლის ქიმიისა და ბიოლოგიის პედაგოგია.

ადამიანი, რომელიც ნახევარი საუკუნეა თაობებს ზრდის. საოცრად თავმდაბალი, მოკრძალებული, ფაქიზი, თბილი, არჩეული პროფესიის, გზის ერთგული. გზა კი 1965 წელს დაიწყო, როცა აფხაზეთში, საბერიოში მედალზე სკოლადამთავრებული, ნიჭიერი, შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოებული გოგონა ამავე სკოლაში პიონერთხელმძღვანელად იწყებს მუშაობას და ეს სიფრიფანა, მაგრამ ძალიან მიზანდასახული გოგონა ახერხებს მუშაობას, ამავე დროს სწავლას სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და წარმატებით ეუფლება ქიმია- ბიოლოგიის მასწავლებლის სპეციალობას.

ჯერ კიდევ სტუდენტი მუშაობს დიხაზურგას საშუალო სკოლაში 1970 წლამდე. აი, ამ დროს მის ცხოვრებაში ხდება მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ცვლილება. ის ტოვებს სამურზაყანოს. იზო მასწავლებელი დაოჯახდა. შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი რეზო გვაჯაიასთან ერთად. ადამიანთან, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე მისი საიმედო საყრდენი, სულიერი მეგობარი, ცხოვრებისეული თუ პროფესიული წარმატებების თანამონაწილე და გამზიარებელი იყო. სწორედ ოჯახის თანადგომით შეძლო იზო მასწავლებელმა პედაგოგიური საქმიანობა წარმატებით და ნაყოფიერად გაეგრძელებინა ქარიატის, შუა ქვალონის, საქირიოს სკოლებში (საქირიოს რვაწლიან სკოლაში დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში) და ამჟამად თორსის საჯარო სკოლაში. არის სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელსაც 2016 წელს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა.

რაც შეეხება ოჯახს, ის გაიზარდა და დღეს იზო მასწავლებელს ყავს შესანიშნავი ვაჟი, რძალი და ოთხი ულამაზესი შვილიშვილი. ორი მათგანი-ანა და ლანა, სტუდენტია, ლაშა მოსწავლე, მეოთხე ბარბარე კი ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა.

და მაინც რითია გამორჩეული იზო მასწავლებელი?

ალბათ ყველას გვახსოვს ნ. დუმბაძის სიტყვები: „როგორც მინიმუმ, ოთხ საიდუმლოს უნდა ფლობდეს მასწავლებელი“. მწერალმა ასე ჩამოაყალიბა: ბავშვებისა და საგნის უსაზღვრო სიყვარული, ეს სიყვარული სხვასაც უნდა შეჰყაროს, ჰქონდეს სამართლის გაჩენისა და მოთმინების ფიალა და იყოს უაღრესად თანამედროვე. დამერწმუნეთ, იზო მასწავლებელი სრულყოფილად ფლობს ამ თვისებებს. აი, სწორედ ამიტომ არის ის გამორჩეული, მაგალითი კოლეგებისთვის და მოსწავლეებისთვის. და კიდევ. ინოვაციური მეთოდებით მუშაობა, კრეატიული აზროვნება და მიდგომები–ეს არის მისი გამორჩეულობისა და წარმატებების მიზეზი. მისი ხელმძღვანელობით მოსწავლეები მონაწილეობენ და იმარჯვებენ შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციებში, პროექტებში, კონკურსებში. ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმე მათგანს, რადგან მათი სრული ჩამონათვალი ვრცელია. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სექციაში მრავალწლიანი მონაწილეობა, ნიკო კეცხოველის პრემიის კონკურსი და წარმატება, მოსწავლეთა გუნდური კონკურსი ბიოლოგიაში და წარმატებული ფინალი თბილისში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონკურსი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“–აქაც გამარჯვება, განსაკუთრებით აღსანიშნავია კონკურსი ,,გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.

კონკურსის ორგანიზატორებმა იზო მასწავლებელს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება მიანიჭეს. ეს იყო არა მარტო წარმატება, არამედ დიდი დაფასებაც მრავალწლიანი უანგარო შრომისა. შარშან კიდევ ერთი გამარჯვება. მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გიორგი ლატარიასგან ერთად შექმნილმა ხუთწუთიანმა ვიდეორგოლმა რამდენიმე კონკურსში გაიმარჯვა. მის არქივში უამრავი დიპლომი, სიგელი, სერტიფიკატი ინახება, რომლებიც ამ წარმატებული საქმიანობის დამადასტურებელია. ასეთი წარმატებები, რა თქმა უნდა, ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას საგნისადმი და ამაღლებს მოტივაციას. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ იზო მასწავლებელმა შეძლო მშობლების აქტიური ჩართვა პროექტებში, კვლევებში, ექსპერიმენტულ-ინტეგრირებულ გაკვეთილებშიც კი. ბიოლოგიის მასწავლებლებს ახსოვთ ალბათ ხამისქურისა და თორსის სკოლაში ჩატარებული უაღრესად საინტერესო გაკვეთილები, რომლებმაც სპეციალისტების საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

პედაგოგი არის კათედრის გამგე, საკათედრო ქსელის აქტიური კურატორი, მონაწილეობს ტრენინგებში, თვითონ განსაკუთრებულად გამოყოფს „მილენიუმის“ პროექტით ჩატრებულ ტრენინგებს, მასწავლებელს აღიარება არ აკლია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მოსწავლეების აზრია. ბავშვების აზრით იცით როგორია იზო მასწავლებელი? ადამიანი, ვინც არ თამაშობს, გულწრფელია, პატივს გცემს და გაფასებს, მოსწავლის აზრს მნიშვნელოვნად რომ მიაჩნევს, საოცარ, შენთვისაც უცნობ უნარებს რომ აღმოგაჩენინებს შენს თავში, მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია გაცდენის შემთხვევაში გითხრას „ძალიან გვაკლდიო.“ როცა გაკვეთილი არ იცი და ჩუმად ხარ–„სამწუხაროა, ჩვენ კიდევ შენი აზრი გვაინტერესებდაო“. განსხვავებული მიდგომა რომ აქვს თითოეული ბავშვისადმი, მარად თანამედროვე.

ასე ფიქრობდნენ იზო მასწავლებელზე მოსწავლეები მაშინაც, როცა მასწავლებელი ზეციური არსება ეგონათ და დღესაც, როცა დრო შეიცვალა, უამრავი ღირებულება გადაფასდა და და ბევრი არაფერი დარჩა ადრინდელი შეხედულებებისგან.

უინტერესო არ იქნება ამონარიდი მისი ყოფილი მოსწავლეების წერილებიდან. ,,იზო მასწავლებელო, მე თქვენ ცოდნა შემძინეთ, მასწავლეთ ამ ცოდნის, უნარების გამოყენება, თუმცა ისიც მასწავლეთ, რომ სულის და გულის გაყიდვა არ შეიძლება“.

ან „ის, რაც თქვენ მასწავლეთ იზო მასწავლებელო, არასოდეს გადაფასდება ჩემში და უფრო მწამს, რაც უფრო დრო გადის. თქვენი გაკვეთილებიდან წასული მუდმივად თქვენი აზრების „კარცერ-ლუქსში“ ვიმყოფებოდი და ვფიქრობდი თქვენს სიტყვებზე“. შეიძლება თამამად ითქვს,რომ პედაგოგმა ძალიან ბევრი მოსწავლის ცხოვრებაში დატოვა თავისი კვალი. ზოგმა მათგანმა საყვარელი მასწავლებლის პროფესია აირჩია. ასეთებიც ბევრია: მარინა ქირია, მანონი ქირია, ფატიმა ქანთარია, ნანა კვინჩია და სხვები.

იზო მასწავლებლის ღირსებაზე მეტყველებს მისი მეგობრების სამახსოვრო ჩანაწერები, რომელიც მათ გააკეთეს, როცა ქალბატონ იზოს 55 წელი შეუსრულდა.–„იზო მასწავლებელო, თქვენ იდეალური ქალბატონი ხართ. მე ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარგუნა თქვენთან ურთიერთობა. მერიდება ამ სიტყვის თქმა„ მეგობარი“. რადგან მინდა თქვენს უმცროს შვილად მიგულოთ“. ასე წერს რუსუდან ბუკია.

იზა იზორია–„დიდებულო, თავმდაბალო, მორცხვო ქალბატონო. მინდა დაგაიმედოთ, რომ თქვენს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, თქვენ ამ სოფელს, ქვეყანას, აღუზარდეთ შესანიშნავი ადამიანები, აჩვენეთ ჭეშმარიტი გზა, რადგან თავად ხართ ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი“.

მანანა ელერჯია-„იზო მასწავლებელო, თქვენ საოცარი ადამიანი ხართ, სხვისი ტკივილი გტკივათ, სხვისი სიხარული გიხარიათ, მუდამ მზად მყოფი თანადგომისთვის, თან ამას ჩუმად, უხმაუროდ აკეთებთ.“

ალბათ, ფიქრობთ, რომ ის, რაც დავწერეთ, ძალიან ბევრია ერთი ადამიანისთვის, არა, ნამდვილად არა, რომ არა იზო მასწავლებლის თავმდაბლობა, კიდევ უფრო მეტი უნდა დაწერილიყო. ჩვენი მიზანი ნამდვილად არ იყო ჭეშმარიტად ღირსეული ქალბატონის, პედაგოგის იდეალიზირება. ჩვენ, ნიკოლორთქიფანიძის აზრს გავიმეორებთ: ვწერთ უბრალო, მოკრძალებულ ადამიანზე, რომელიც ერთგულად მიჰყვება ერთხელ არჩეულ გზას, უხმაუროდ დაბიჯებს სკოლის დერეფანში და კიდევ უამრავი იდეის განხორციელებაზე ფიქრობს ბავშვების სასიკეთოდ.

და ბოლოს ერთი შეკითხვა: ვინმე აპირებთ მასწავლებლობას?

-მაშინ იყავით უბრალოდ იზო მასწავლებლის მსგავსი მასწავლებელი.

დალი დვალაძე

მიყვარხართ, მეიმედებით...

ღია ბარათი ოცდაათი წლის შემდეგ

ოცდაათი წლის წინ აფრინდით ნოჯიხევის სკოლიდან, ამდენივე ხანია მაქვს თქვენი მონატრება, დღეს ერთად გხედავთ დავაჟკაცებულებსა და დაქალებულებს, საქმიანებსა და სამაგალითოებს, მხიარულებს და მოსიყვარულეებს.

ვამაყობ, რადგან თქვენ, ჩვენს ხელში გაზრდილები, ღირსეულ ადამიანებად, კარგ სპეციალისტებად ჩამოყალიბდით და მოღვაწეობთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შექმენით თბილი ბუდეები და საამაყო შვილებს ზრდით.

სიხარულთან ერთად ტკივილიანიცაა დღევანდელი დღე. თქვენ შორის არ არის ყველაზე აქტიური ბიჭი, ჩვენი გელა ცხადაია, სამარადისო ხსოვნა მის ნათელ სულს. ბედნიერება გელას ვაჟკაცებს ბაქარსა და ბექას.

გიცქერით, თვალწინ თქვენი ბავშვობა მიდგას. მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, იღბლიანობა და ყოველივე საქმიანობაში წარმატებები. მიყვარხართ, მეიმედებით...

ჩემი განვლილი ცხოვრების ნაწილი ხართ, გლოცავთ, თან ბოდიშს გიხდით, რადგან გარკვეული მიზეზის გამო ბანკეტზე თქვენს თავმოყრას ვერ დავესწრები. იმედია, გამიგებთ.

დიდი სიყვარულით კლასის დამრიგებელი.

იზოლდა (ციური) ცხადაია.

ინტერვიუ

„შრომა, მონდომება, რწმენა და ცოტა იღბალი...“

დავით ბერაია–100% სახელმწიფო გრანტის მფლობელი

დავით, პირველ რიგში გვითხარი შენი წარმატების შესახებ. რა შედეგს მიაღწიე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?

–გამარჯობა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავირიცხე დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით. ქიმიით ჩარიცხულთა შორის მე-6 ადგილი დავიკავე 102-დან, მთლიანად ფაკულტეტზე–მე-14 300-დან. უნდა აღვნიშნო, რომ ამ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით, ამ ფაკულტეტზე ძალიან ძლიერი კონკურენციაა, რადგან საკმაოდ მაღალი თამასა აქვს და ყოველ წელს მხოლოდ მაღალქულიანი აბითურიენტები ირიცხებიან.

გილოცავ ამ წარმატებას. მოდი, მის წინაპირობებზე დავიწყოთ საუბარი. როგორ სწავლობდი სკოლაში და როგორია შენი სკოლის წვლილი ამ ყველაფერში?

–ვთვლი, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო წარმატებისთვის აუცილებელია კარგი სკოლა. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მე სწორედ იმ სკოლაში ვსწავლობდი, რომელმაც თითქმის ყველაფერი მომცა ამ შედეგის მისაღწევად. ქარიატის საჯარო სკოლა გამორჩეულია სწავლების ხარისხით და ასევე, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დამოკიდებულებით. ჩემი თითოეული მასწავლებელი, ამავდროულად, ჩემი მეგობარი და საუკეთესო გულშემატკივარი იყო. რაც შემეხება მე, სკოლაში ნამდვილად ძალიან კარგად ვსწავლობდი, რადგან ყოველთვის მჯეროდა, რომ განათლების მიღება კონკურენტულ საზოგადოებში თავის დამკვიდრების ერთადერთი საშუალებაა. საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ლეპტოპი მივიღე საჩუქრად. მონაწილეობას ვიღებდი მრავალფეროვან პროექტებსა და ოლიმპიადებში, მათ შორის, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებშიც. იქ მიღწეული წარმატებების გამო საზაფხულო ბანაკებშიც ბევრჯერ ვყოფილვარ. ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებშიც ხშირად ვმონაწილეობდი. საშუალო საფეხური უმაღლესი ნიშნებით დავასრულე და მალე ოქროს მედალსაც მივიღებ.

როგორი იყო აბიტურიენტობა? ალბათ სირთულეებს წააწყდი.

–აბიტურიენტობას სირთულეები ნამდვილად ახლავს თან, მაგრამ ბევრი შრომით მათი გადალახვა მარტივადაა შესაძლებელი. ეს პერიოდი ჩემთვის სასიამოვნოც კი იყო. დამღლელი დღეების მიუხედავად, ყველაფერს პოზიტიურად ვუყურებდი იმიტომ, რომ ვიცოდი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად იყო აუცილებელი. რაც შეეხება იმ მასწავლებლებს, რომლებიც აბიტურიენტობისას მამზადებდა, მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ქეთინო გაბისონია, ხათუნა გერგაია, ნანი სალაყაია და ნანა ლიტვინენკო ის ადამიანები არიან, რომელთაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით ამ წარმატების მიღწევაში.

გვითხარი, რა ქულები მოიპოვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?

–ქართულ ენასა და ლიტერატურაში–74 (80-დან) მივიღე, ზოგად უნარებში–74 (80-დან), ინგლისურ ენაში–84 (90-დან), ბიოლოგიაში–67 (70-დან), ქიმიაში–70 (75-დან).

რატომ აირჩიე მედიცინა, რამ აღგიძრა ექიმობის სურვილი და რა გეგმები გაქვს ამ მიმართულებით?

–პირველი ბიძგი ტერესერიალი იყო. „გრეის ანატომიამ“ პირველად მაჩვენა ამ პროფესიის სირთულე და, ამავდროულად, წარმოუდგენელი სიდიადე. მიმახვედრა, რომ მედიცინის გარდა სხვა სფერო არ არსებობდა, რომლის დაუფლებაც მინდოდა. მალევე გავაანალიზე, რომ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაა ყველაზე ამაღელვებელი საქმე, რომლის გაკეთებაც შეგვიძლია. მესმის, რომ ძალიან რთულია, კარგი ექიმი გახდე და საბოლოო მიზნის მისაღწევად ძალიან გრძელი, დაბრკოლებებით სავსე გზის გავლაა აუცილებელი, მაგრამ ვფიქრობ, ამისთვის მზად ვარ, მომავალში ქირურგობას ვგეგმავ. ამ ეტაპზე კარდიო და ზოგადი ქირურგია მაინტერესებს, მაგრამ კონკრეტული მიმართულების არჩევამდე მინიმუმ 6 წელი დარჩა, ამიტომ ამ ეტაპზე ადრეა სამომავლო გეგმებზე საუბარი.

მედიცინის გარდა კიდევ რა გეგმები გაქვს სამომავლოდ?

–მაქსიმალურად ვეცდები, მოქალაქეობრივი აქტივობა არ დავკარგო. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და ჩემთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე დავაფიქსირო საკუთარი პოზიცია, რადგან სოციუმი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მუდმივად განიცდის დეგრადაციას. ქსენოფობია საკმაოდ სწრაფად იკიდებს ფეხს ჩვენში და ვთვლი, რომ ყველაფრის მოგვარებაში ახალგაზრდების როლი განუზომელია. ამიტომ მიმაჩნია, რომ მოდუნების უფლება არ გვაქვს.

და ბოლოს, რას უსურვებდი და ურჩევდი მომავალ აბიტურიენტებს?

–პირველ რიგში, ვუსურვებდი, რომ ირგვლივ რაც შეიძლება მეტი გულწრფელი გულშემატკივარი ჰყავდეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების სწამდეთ, არც დაკნინებულად შეაფასონ ის და არც გადამეტებულად. ყველაზე საგულისხმოა, იშრომონ ძალიან ბევრი, იშრომონ საკუთარი სანუკვარი მიზნების მისაღწევად, რადგან ამის გარეშე არაფერი გამოდის. აბიტურიენტობა ის პერიოდია, რომელიც ბევრ რამეს წყვეტს და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. ის სიზარმაცის ელემენტები, რომლებიც ყველა ჩვენგანშია განსხვავებული დოზით, მხოლოდ ხელს გვიშლის და მათი თავიდან მოშორებაა საჭირო. ცოტა იღბალიც სჭირდებათ აბიტურიენტებს და ამ იღბლის ქონას ვუსურვებ.

ამრიგად, შრომა, მონდომება, საკუთარი თავის რწმენა და ცოტა იღბალი სასურველი შედეგის დადგომას განაპირობებს.

ესაუბრა ნანი კილასონია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

„გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად“

ქალაქ ხობში, შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (სისხლის ბანკი) ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით აქცია - „გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად“ გაიმართა. სისხლის უანგარო დონორთა აქციაში ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მოხელეებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობდა.

ლეიკემიითა და სხვა დაავადების მქონე ადამიანებისთვის სისხლის ხშირ გადასხმას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სისხლის დონაცია უსაფრთხო პროცესია. გარდა რეციპიენტისა, სარგებელს სისხლის დონორიც იღებს, რადგან სისხლის გაცემის პროცესი სისხლში ახალი უჯრედების წარმოქმნას უწყობს ხელს, რის შედეგად სისხლი ახალგაზრდავდება. დონორთა მიერ ჩაბარებულ სისხლს კომპლექსური ანალიზატორების წყალობით, ფართო სპექტრის, მაღალი ხარისხის გამოკვლევები (სისხლის ჯგუფი და რეზუსი, B და C ჰეპატიტი, შიდსი, ათაშანგი, ჰემოგლობინი) უტარდება.

სოციალურად დაუცველ ოჯახებს საჩუქრად ტანსაცმელი გაეცათ

ხობის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციის - „ქალები სამართლიანობისთვის“ ორგანიზებით აქცია, სახელწოდებით „გაეცი ტანსაცმელი“ გაიმართა. აქციის ფარგლებში, პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ცამეტ ოჯახს საჩუქრად ტანსაცმელი გადაეცა.

ქარიატის, პირველი მაისის, საჯიჯაოს, ნოჯიხევის და ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში არასამთავრობო ორგანიზაციის ("ქალები სამართლიანობისთვის") მიერ დაფუძნებული „ქალთა სახლი“ ფუნქციონირებს. „ქალთა სახლში“ სოფლად მცხოვრები ქალბატონები არიან გაწევრიანებული.

არასამთავრობო ორგანიზაცია ხობის მუნიციპალიტეტში აქტიურად საქმიანობს და ადმინისტრაციულ ერთეულებში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს.

ხობში ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს

მავნებლის განადგურების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურებია დამონტაჟებული ფერომონი იზიდავს მავნებელს, რაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს ბრძოლის ღონისძიებების არეალი და მაქსიმალურად შემცირდეს მავნებლის რიცხოვნობა.

საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ღონისძიებების მიმდინარეობას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელი ლაშა შალამბერიძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გაეცნენ.

პარალელურად „ცივი შესხურების“ მეთოდით მუშავდება საყანე ფართობები.

ხობის მუნიციპალიტეტში სულ 3013 ერთეული ფერომონი დამონტაჟდება.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: www.parosana.ge

ამასწინათ რედაქციაში სიმპათიური ქალბატონი გვესტუმრა, სათნო, ღიმილიანი... მომეჩვენა, რომ მისი თვალები ვიღაც სხვას ეძებდა...

—ნონა ლაცარია ვარ, ხეთაში დაბადებული და გაზრდილი. ამჟამად ბათუმში ვცხოვრობ და ვმუშაობ. უმაღლესი განათლე-ბით ვარ. წლების განმავლობაში რაიონის სკოლებში პედაგოგად ვმუშაობდი. ვიყავი რაიონული გაზეთის კორესპონდენტი, სადაც იბეჭდებოდა ჩემი ლექსები, ახლა კი აქ სხვა გარემო დამხვდა—თვალი მოავლო ოთახს, ვინ და რა არ გაიხსენა...

გავეცანით ერთმანეთს და უცებ მოგვეხსნა გაუცხოება. სასიამოვნო მოსაუბრეა, მისი ლექსები და სონეტები დაბეჭდილია ქართული პოეზიის კრებულის რვა ტომეულში და თანამედროვე ქართული პოეზიის ორ ტომში. (ამიერიდან ისინი რედაქციის წიგნის თაროზე დაიდებენ ბინას. მადლობა მას ამისთვის).

მორიდებით გაგვიმხილა: თურმე ასაკში, რომ შედიხარ ამბიციაც გიჩნდება, გინდა შენს დედულ-მამულში უფრო ვრცლად გაეცნონ შენს შემოქმედებას.

ჩვენც სიამოვნებით ვუსრულებთ სურვილს და რამდენიმე ლექსს და სონეტს ვბეჭდავთ.

სონეტი 134

მომნატრებია სამეგრელოს მინდორ-ველები,
„ჯუგეთის" მთიდან ამოსული მზის ელვარება,
ჩემი ტკბილი და სათნო დედის თბილი ხელების
უანკარესი სურნელების დგას მღელვარება.
მახსენებს ყველა ბილიკები ბავშვობის დღეებს,
„ოხვამეკარის" აღმართებს რომ ლოცვად ადნება,
„ურთის" კალთებზე დილის ნისლით დაფენილ
ხეებს,
მოგონებები შეაგებეს „კორცხოს " ნაძვებმა.
მომსდევენ ფეხ-ფეხ ვით ქარები, „ხსოვნის
ეტლებით",
ცისარტყელების არიები გარდასულ დღეთა
და „ლარჩვის" ჭადრებს შერჩენილი სპეტაკი წლები,
ვაჟკაცურ მხარ- ბეჭს დაუკოცნის ჩემს ლამაზ ხეთას...

„ფსევდო-ღიმილებს" ვაფრქვევ ფრთებზე სევდიან
ხსოვნას,
ძნელი ყოფილა გაფრენილი ბავშვობის პოვნა...

სონეტი 121

საღამოვდება იისფერი გადაფითრებით,
მთვარის ანარეკლს სიმარტოვე „კუდს უქიცინებს"...
ვერ მოვინელე წუხანდელი დანასიზმრები,
აწ დასასიზმრი კაეშანი სულში ქვითინებს.
ზღვათა პანოებს გაეცრიცათ ფერი სმარაგდის,
გავდა ტალღები ჭირისუფლებს ფიქრთა თოვაში,
უხმო ნაპირებს მდუმარებას ჩუმად ვპარავდი,
მისახლდებოდა სულში სევდად ღამის კოლაჟი...
ხმა ჩახლეჩიათ შენს ძებნაში ქართა ალ-ქაჯებს,
(დაქანცულებმა, კვლავ ჩემს გულში დაიდეს ბინა)
და მოლოდინში, სიყვარულით გადაღლილ
მარჯნებს
ღამემ ღაწვებზე უშენობა გადააფინა...

...არც მე და არც შენ დამნაშავე არ ვართ ამაში,
უბრალოდ, ბედმა არ მიგვიღო თავის კარავში...

ხობისწყალი

თითქოს ცა ჩანს უფრო მშვიდი,
სანამ დროა, მომისწარი,
ლაჟვარდოვან ოცნებებით,
გიცდით მე და ხობისწყალი.
ისევ ისე, ძველებურად,
მელოდება ჩემი ხეთა,
მომაგონებს ჩემს ბავშვობას,
„პაპანწყვირე" და „ჯუგეთა"...
დედულეთი, საოცნებო,
ჩემი სათაყვანო ხორგა,
სიყვარულით გაჟღენთილი,
დედის თვალებს რომ ჩამოგავს,
„მენატრება, მონატრებას
მიასკეცებს წლების სრბოლა
და სურვილი ისევ ნახვის,
სიყვარულით ისევ „ბოლავს "...
ვეღარ ვიცლი, თუ არ ვიცლი,
დანაშაულს ვაღიარებ...
წლებმა ისე ჩაიარა,
როგორც მე შენ „ჩამიარე"...
გელოდები, რომ ბავშვობის
მოგონებებს ფრთა შევასხათ,
მსურდა როგორ, შენს თბილ გულში,
ჩემი გულიც შეგენახა...
თითქოს ცა ჩანს უფრო მშვიდი,
სანამ დროა, მომისწარი...
ლაჟვარდოვან ოცნებებით,
გიცდით მე და ხობისწყალი...

ზედ დამეფინოს დროშა ქართული

ჩამორღვეული კლდის ნათალი ვარ,
კვლავ გამოვდგები ძლიერ საყორედ,
ავეკედლები ჩემს საქართველოს,
ფრთები დაემსხვრეთ „უძღებ ყვავ- ყორნებს".
შევმატო იქნებ ჩუქურთმა- ქონგურთ,
ნათელი ისევ, „ნაჯაფი" ხელით,
ცოფს ყრიდეს მტერი შურით და ბოღმით,
ცადაზიდული მშვენების ცქერით.
წინაპართ კვალზე დავდგები ლოცვად,
რომ იხეიროს მომავლის რწმენამ,
ილოცებს გმირთა უხმო ვედრება
საქართველოსთვის- გადასარჩენად...
ჯერარშობილი ყრმის მოლოდინში,
დაათენდება ბევრჯერ ბაზალეთს,
მანამდე ქართველთ ძვალთშესალაგი,
არ ვათელინოთ „ამ ცრუ- ვასალებს".
აქ ქართლის დედა ომახიანად,
დგას შემართული, იმედით მავსებს,
ცალ ხელში ხმალი უჭირავს ბასრი
და მეორეთი- ფიალა, სავსე.
სამტროდ ვინც მოვა, ხმალს შეაგებებს,
სამოყვროდ?-„მოდი, შენ გენაცვალე ",
ვაზის ნაჟური შეერგოს ტკბილად,
ვინც ჩემს სამშობლოს თავს ანაცვალებს...
ბევრჯერ ვყოფილვართ მსხვერპლი
„ვეშაპთა",
სისხლი გვდენია ბოლო წვეთამდე
და მაინც, გმირთა თავგამეტებით,
ვაფრიალებდით დროშას ზეცამდე.
...თუკი დაგჭირდი მამულო ჩემო,
(ამორძალივით ხმალშემართული)
მეც ზვარაკივით შეგეწირები,
ზედ დამეფინოს დროშა, ქართული....
სულთმოფენობის მადლი გფარავდეს,
ქართველო, უფალს ებარებოდე,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
მენახე, ისევ „ლილეს" მღეროდე...
შევმატოთ მერე მართლაც, სამშობლოს
ნათელი ისევ, „ნაომარ" ხელით,
ცოფს ყრიდეს მტერი დამარცხებული,
დაუმარცხებელ ქართველთა ცქერით...

ალილუია

ადამის მოდგმის ცოდვები რომ გამოგესყიდა,
ამქვეყნად შენი მოვლინება ღმერთმა ინება,
ვერ შევიმეცნეთ, უარვყავით მადლი ზეციდან,
შოლტით დავროზგეთ ღვთით შობილი ჭეშმარიტება.
ჯვარზე გაკრული, გაყიდული ოცდაათ ვერცხლად,
შენ, უცოდველი, ცოდვილთათვის ნაღვლობდი ისევ,
უვიც ბრბოთაგან ნაწამები დღე ენთო ცეცხლად,
მარადისობას საოცრებად მიჰქონდა ცისკენ.
„ღმერთო, შეუნდე",-ჩურჩულებდი, მზე გწვავდა სხეულს,
ორგულთა შური დედამიწას აზანზარებდა,
შენ ლოცულობდი... იუდას კი, ხორცამდე წყეულს,
გამარჯვებული სატანა ზედ დაჰხარხარებდა.
...გდიოდა სისხლი, უმანკო და მსხვერპლად ქცეული,
მტერიც შეინდე, ავაზაკიც არ დაივიწყე...
მუხლმოდრეკილთა ლოცვა იდგა არამეული,
ზეცად ამაღლდა მესამე დღეს იესო ქრისტე...
....ხარობს სამყარო, ქრისტე აღდგა ჭეშმარიტებით,
„ალილუია", მომლოცველნიც ვხარობთ ზეცამდე...
აღდგომის დღეო, უკვდავებით ისევ ბრწყინდები,
რომ იღაღადო „საღვთო სჯული" უკუნისამდე...

საიდუმლოა ბედნიერების.

თუ მტკივა გული, ვარდისფრად მტკივა,
სხვაფრივ სიცოცხლე აღარ ეგების...
და ეს ტკივილი, სუნთქვის ტოლ-ფასი,
საიდუმლოა ბედნიერების...
ისევ ახელებს დრომოჭმულ ვენებს
და გულის კუნთებს სიფიცხე სისხლის...
თუ მწუხარება აღარ ვიგემე,
მარტოდენ ლხენას რა თავში ვიხლი.
ხანდახან ვფიქრობ, რამ გადამრია,
თუმცაღა ვიცი, ჯერ არ შევშლილვარ...
გაუსაძლისი და მაინც ტკბილი,
სიცოცხლის თვალი ვით ამეხილა...
ვით ამეხილა, ვინ მომანიჭა
გასაკვირველი, სულით სულისთქმა,
ჩაბუდებული ცოდვილ სხეულში,
უფლით ვირწმუნე როა უფლისგან...
ტკივილნარევი დღეების სიბრძნით,
გავითავისე სიკვდილ-სიცოცხლე,
ისე ტკბილია ახლა ეს სიბრძნე,
ღმერთო, სიბერე გადამიჩოჩე...
ისევე ლხენით ვიტვირთავ ტკივილს,
ვიგულებ ისევ ტკივილს ჩემისად,
ჭირსა და ვარამს მოვეფერები,
ცოტა დალხენაც თუკი მეღირსა...
სუყვარულისგან „აყვავებული",
შეხიზნული ვარ სიცოცხლის უბეს,
ღმერთო, მიშველე, თუ გსურს ვიცოცხლო,
ამივსე ისევ ტკივილით „ბუდე"...
ჩემი სიცოცხლე, წყურვილის მსგავსი,
ნაგვირისტალი გვირილებისგან,
დამირჩეს ისე, როგორიცაა,
ცრემლი მდიოდეს ტკივილებისგან...
აღარ გამკიცხო, რადგან ასეა,
რადგანაც მსურს რომ ვიცოცხლო შენთვის
და თუ ღირსი ვარ, ხელს შემაშველებს
მარადიული ტრფობისთვის ღმერთი...
...ახლა კი ვიცი, ვინა ვარ, რადგან,
სიყვარულია თავად უფალი...
მათბობდეს მუდამ ბედნიერების
ტკბილი და მწარე ცრემლის კურცხალი...
ვარდისფერია აპრილი ისევ,
ვარდებით ვსუნთქავ სიცოცხლის არილს...
კვლავ რომ ვიცოცხლო, ჯერ უნდა მოვკვდე,
უფალო, ზეცის გამიღე კარი...

ავტოპორტრეტი

უკვე ვიცი, გადამრევს, შემოდგომის წვიმები,
დაქანცული ქარები, ჩამომჭკნარი ხილვებით...
დავეცემი მუხლებზე საკვირაო ლოცვებით
და საყდართან უხილავ უფალს დაველოდები...
სიფაქიზე ამ სულის, გულს შეზრდილი ბაღებით,
გადაიფრენს ამაღამ ცაზე მკრთალი ლანდებით...
მავიწყდება რაც მსურდა (გახსენებად ყოველთა)
ჩემი ავტოპორტრეტი მხატვარს ედო მოლბერტთან...
მენესტრელი ბოლო ნოტს, თავზე ჩუმად იმსხვრევდა
და შორეულ ზმანებებს ცრემლებივით იკმევდა...
ვერაფერმა უშველა სიჩუმეთა შეშლილ სულს,
ამ მკრთალ სიმარტოვეში, მე შენს გარდა არვინ მსურს.
მასკარადებს მართავდნენ უთვისტომო ბოშები
და „ჯენტლმენებს" ემსხვერპლნენ ფერხთან
დაყრილ გროშებით...
იყო ციდან ცრემლები... მიწის სუნი დაჰკრავდა,
ვიოლინოს ღიღინი მწუხარებას ფარავდა.
ედო პოეტს კალამი დაუწერელ ფურცელზე,
სიზმრებივით იფენდა რითმებს, ღამის წყლულებზე...
დაუღლელი თვალებით ცას სერავდა სიბნელე,
პირწავარდნილ ლოთივით, ღამე ვერ მოვინელე...
იყო ლხინი, (ლხინს რა სჯობს) გრაფინიებს ცხელოდათ,
რევერანსულ ღამეებს საოცრება ელოდათ...
ირწევიან სიზმრები სასთუმალქვეშ, ალვებთა,
ცვივათ ქუჩებს დარდები, დაობებულ ღამეთა.
გაუმხელელ ოცნების ცოცხლად დასამარება,
მთვარემ გამოიგლოვა, დაიტირეს ქარებმა,
მისტიროდნენ დაცლილ გულს სინანულით გრაფები,
უტოპიურ ღამეთა, ფსევდო-ავტოგრაფებით...
არარეალიზებულს, წუხდა წარსულს პოეტი,
მაინც ცისკენ მიჰქონდა მხატვარს მისი პორტრეტი...
შენთვის შობილ სიცოცხლეს ჩამსხვრევიათ სარკმლები,
მწუხარებდნენ სხვენებზე უბავშვებო აკვნები...
დაეკიდა სივრცეებს უსხეულოდ ხის ჩარჩო,
დუჟ-მორეულ სიანჩხლით იქნებ სადმე მივახრჩო.
მაინც სულს ვეფერები, ნაცვეთს, არამიზნულად,
მივეჩვიე უფალო, ყოფნას, არქაიზმულად...
...ქვეყნად ყველა პოეტებს, ჩუმად, გიჟებს არქმევდნენ,
მეც რომ ბედი მქონოდა, შეშლილს დამიძახებდნენ...
სურვილი მკლავს, დაღლილ ფრთებს, ზედ
მზე გადავაყარო,
ვაზეიმო ამ ცის ქვეშ „შეშლილების" სამყარო...

28 სექტემბერი ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა

ფრთხილად, ცოფი ძნვავე ვირუსული ინფექციაა

ცოფი, მწვავე ზოონოზური ვირუსული ინფექციაა, რომლსაც ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის პროგრესირებადი დაზიანება და ის ყოველთვის ავადმყოფის გარდაცვალებით მთავრდება.

ცოფით ავადდება ყველა თბილსისხლიანი ძუძუმწოვარი, შინაური და გარეული ცხოველი.

ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მიზანია კიდევ ერთხელ გავამახვილოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და სამედიცინო პერსონალის ყურადღება ამ ვერაგი დაავადების პრევენციისთვის.

საქართველოში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შინაური თუ გარეული ცხოველის მიერ დაკბენილი ადამიანების მკურნალობა არის სრულიად უფასო. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ანტირაბიული დახმარების სამი კაბინეტი, რომელიც ანტირაბიული ვაქცინით და ანტირაბიული იმუნოგლობულინით უზრუნველყოფილია შეუფერხებლად ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ.

ცოფით ადამიანის დაავადება–ჰიდროფობიაა (წყლის შიში) დაავადების შემთხვევები გვხვდება მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე. ჰიდროფობიით ყოველწლიურად ათასობით ადამიანი იღუპება, რომელთაგან 40 პროცენტი ბავშვია. ჰიდროფობიით დაავადებისა და გარდაცვალების უმრავლეს შემთხვევაში ინფექციის წყარო ძაღლია, პროფილაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ვაქცინაციაა. მსოფლიოში ყოველწლიურად 16 მილიონზე მეტ ადამიანს უტარდება ცოფზე საეჭვო ცხოვრელებთან კონტაქტის შემდგომი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ბუნებაში ცოფის ვირუსის რეზერვუარს წარმოადგენენ შინაური და გარეული ცხოველები (ძირითადი რეზერვუარი კატები, მელიები, მგლები, ტურები და სხვა. ცოფის ვირუსი ცოფით დაავადებული ცხოველების ნერწყვით გამოიყოფა გარემოში.

ადამიანი ინფიცირდება და ავადდება ცოფით დაავადებული ცხოველის ნერწყვით ძირითადად კბენითა და დაკაწვრის შედეგად. ადამიანის დაინფიცირება ასევე შესაძლებელია დადორბლვით, დაავადებული ცხოველის ნერწყვის მოხვედრით ლორწოვან გარსზე და დაზიანებულ, მთლიანობა დარღვეულ კანზე.

ინფექციის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ სამედიცინო პრაქტიკაში აღრიცხული არაა.

ადამიანისთვის ცოფით დაავადებული ცხოველის ხორცის საკვებად გამოყენება, დაავადების თვალსაზრისით საშიშროებას არ წარმოადგენს.

ინკუბაციური პერიოდი, ანუ დრო დაინფიცირებიდან დაავადების გამოვლენამდე 2-დან 6 კვირამდეა, თუმცა შეიძლება შემცირდეს 5 დღემდე და ან 1 წელზე მეტხანს გასტანოს.

მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაკბენის (დადორბვლის) ადგილსა და დაზიანების ხარისხის სიმძიმეზე, განსაკუთრებით საშიშია ნაკბენი თავის არეში, ლორწოვან გარსებზე შორისის მიდამოში და თითებზე.

ჰიდროფობიის განვითარების პირველი სიმპტომია მაღალი ტემპერატურა და ზოგჯერ უსიამოვნო ქავილის, ჩხვლეტის ან დაბუჟების შეგრძნება დაზიანებულ ნაკბენ, დადორბლილ) ადგილას.

ცოფით დაავადებული ადამიანის მკურნალობის სპეციფიკური მეთოდი არ არსებობს და ამ დაავადების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება დროულად დაწყებული და სრულფასოვნად ჩატარებული ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებებია.

–ცხოველისგან დაკბენა-დადორბვლის შემდეგ ჭრილობის დაუყონებლივ დამუშავება, დაბანა საპნითა და გამდინარე წყლით.

–დაუყონებლივ მიმართვა ექიმთან ცოფის საწინააღმდეგო აცრების ჩასატარებლად.

დროულად და ხარისხიანად ჩატარებული ანტირაბიული პროფილაქტიკური მკურალობის მეშვეობით შესაძლებელია ამ მომაკვდინებელი დაავადების თავიდან აცილება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, ადამიანებში ცოფის გავრცელების პრევენციისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს შინაური ცხოველების (ძაღლები, კატები) ცოფის საწინაღმდეგო აცრას, რომელიც ასევე არის სრულიად უფასო, მთავარია თვით მოსახლეობა იყოს დაინტერესებული და ყურადღებით. ცხოველების აცრისთვის მიმართონ შესაბამის ტერიტორიულ ვეტსამსახურებს.

ჯუმბერ ტურაევა,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.

სულთათანა

ნელი გუკია

ხობის მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი ადამიანი, ერუდირებული, მასწავლებელთა მასწავლებელი, ქალბატონი ნელი ნიკოლოზის ასული ბუკია-კვირტია. საინტერესოა მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა.

წარჩინებით დაამთავრა ალ.წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის სპეციალობით. მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში, საიდანაც გადაიყვანეს რაიონის პიონერთა სახლის დირექტორად, შემდეგ თითქმის სიცოცხლის ბოლომდე კი განათლების განყოფილების ინსპექტორი, გამგის მოადგილე. ქალაქ ხობის №1 საშუალო (საჯარო) სკოლის მასწავლებელი იყო.

ქალბატონი ნელი ბუკია არაერთხელ იყო დაჯილდოებული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მიერ. მიღებული ჰქონდა სამკერდე ნიშანი „სახალხო განათლების წარჩინებული“.

როგორი გვახსოვს ქალბატონი ნელი ყველას, ვინც მას ვიცნობდით? იგი იყო მოკრძალებული ადამიანი და მოკრძალებული პატივისცემით გამოვხატავთ მისადმი სითბოსა და სიყვარულს. მისი სახით ამქვეყნიდან წავიდა კეთილშობილი, შინაგანად უაღრესად წესიერი, უანგარო, გულმართალი და გულკეთილი, უშურველი და სხვისი ჭირის გამზიარებელი, ნამდვილი მოძღვარი, განათლებული ადამიანი. მიუხედავათ იმისა, რომ დიდი უბედურება გადახდა, საკუთარი საწუხარით სხვას არ დაამძიმებდა. ბევრი სიკეთე გაუკეთებია, სხვისი შვილებისთვის, განსაკუთრებით–ობლებისთვის.

სპეტაკი და უხინჯო იყო მისი განვლილი გზა, დაწყებული იმ დროიდან, როცა სრულიად ახალგაზრდა კომკავშირის რაიკომში მუშაობდა, მასზე უმცროსი თაობა დღესაც იხსენებს ქალბატონ ნელი ბუკიას, როგორც ნიჭიერ, უამბიციო, თავაზიან ახალგაზრდას.

მისი ცხოვრების წესი გვაფიქრებინებს იმას, რომ ღირსეული ადამიანები ყველა დროში ღირსეულნი იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, ბევრი ჩვენთაგანისთვის, ნელი მასწავლებელია.

მისი ღვაწლი მუდამ დაუვიწყარი იქნება ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის ისტორიაში.

სსპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

თინა ლოლუა-გერაია

დედა, უკვე მეხუთედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. მიჭირს შენზე წარსულში საუბარი. მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე, მწამს, რომ იმ ქვეყნად წასვლით არ მთავრდება ყველაფერი. დედა, შენ შენს მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად გაგრძელე მარადიული ცხოვრება. თქვენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. შენი წასვლით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს, შენი ერთგულება, თანადგომა, იმედიანი სიტყვა და შესაშური მასპინძლობა დააკლდა შენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს და შენს ახლობლებს. იყავი ენერგიით სავსე, ჩინებულად უთავსებდი ერთმანეთს ოჯახს და სამსახურებრივ საქმიანობას, რომელიც ხუთ ათეულ წელზე მეტს ითვლის. სამი ათეული წელი ჭალადიდში სამხედრო მდივნად იმუშავე, სადაც მრავალი მადლობა და სიგელი გაქვს მიღებული, ხოლო ორი ათეული წელი კი ჭალადიდის კლუბის გამგედ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდი მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

დედა, სადაც კი გიმუშავნია ყველგან მოიპოვე დამსახურება და დაფასება, შენს მიერ ორგანიზებული ცეკვის ანსამბლის მასწავლებლები და წრეში გაერთიანებული ორმოცი გოგო-ბიჭი დღემდე სიყვარულით გიხსენებენ.

დედა, ძალიან გვაკლიხარ, გვჭირდები და გვენატრები. ზოგჯერ მეჩვენება, რომ სადაცაა კარს შემოაღებ, ჩვეულებრისამებრ ხელებს გაშლი და შენს მოსიყვარულე გულში ჩაგვიკრავ, თუმცა ლოდინი ამაოა... ნუ გეშინია, ერთი წუთით არ გტოვებთ, სულ შენთან ვართ ფიქრებში.

ამ სტრიქონებს თვალცრემლიანი ვწერ, მინდა გულში ჩაგიკრა და ყურში გიჩურჩულო, რომ ძალიან გვიყვარხარ და უსაშველოდ გვენატრები... უფალს ვევედრები შენი სიკეთით და სიყვარულით განვლილი ცხოვრების სანაცვლოდ ღმერთმა ცათა სასუფეველი დაგიმკიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

გულნაზი
გერაია-ჯიშკარიანი

სპორტი

ნუტი ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშებაზე

24–29 აგვისტოს, ქ. ხობში, ცენტრალურ სტადიონზე, ჩატარდა ახალგაზრდა ფეხბურთელის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის რიგით მეხუთე გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში 2006-2007 წლებში დაბადებული ჭაბუკები ასპარეზობდნენ.

ტურნირზე მონაწილეობდნენ ბათუმის სასპორტო სკოლის, ფოთის „კოლხეთის“, ზუგდიდის და მარტვილის საფეხბურთო სკოლების, მარტვილში თბილიის „დინამოს“ აკადემიის, ხონის სასპორტო სკოლის, ხობის „კოლხეთისა“ და „კოლხეთი-2“-ის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები.

გუნდები დაყოფილნი იყვნენ ორ ჯგუფად, პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში ასე დაწყვილდნენ: „კოლხეთი“–დინამო აკადემია და ბათუმი–ფოთი, პირველ ნახევარფინალურ შეხვედრასა და ხობის „კოლხეთსა“ და დინამოს

აკადემიას შორის წარიმართა ხობელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 1:0 და მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ბათუმის სასპორტო სკოლასა და ფოთის „კოლხეთის“ ჭაბუკებს შორის დაძაბულად მიმდინარეობდა, თუმცა შემდეგ ფოთელებმა შეძლეს მატჩის მოგება ანგარიშით 3:1 და ისინი ფინალში გავიდნენ.

29 აგვისტოს, ნუტის დაბადების დღეს, გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის, მეგობრული შეხვედრა ტურნირზე მონაწილე ჩამოსული გუნდების მწვრთნელებსა და ხობის „კოლხეთის“ ყველა ასაკობრივ ჯგუფების გუნდების მწვრთნელებს შორის და ფინალი.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბათუმის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა დაამარცხა დინამოს აკადემია და დამსახურებულად დაიკავა მესამე ადგილი, მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

მეგობრული შეხვედრა, სადაც ერთმანეთის პირისპირ ადგილობრივი და ჩამოსული გუნდების მწვრთნელები თამაშობდნენ მეტად საინტერესოდ წარიმართა, მიუხედავად ასაკისა და წონისა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა გულშემატკივრებს აჩვენეს თავიანთი შესაძლებლობები. მატჩი დამთავრდა ხობელთა გამარჯვებით. ოვაციებით გააცილეს გულშემატკივრებმა ვეტერანი ფეხბურთელები მოედნიდან.

ბოლოს კი ფინალი ხობის „კოლხეთისა“ და ფოთის „კოლხეთის“ ჭაბუკებს შორის მიმდინარეობდა. ორმხრივ დაძაბულ ბრძოლაში, ფოთელები დაწინაურდნენ თუმცა შემდეგ ხობელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და მატჩის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დამთავრდა. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც უძლიერესი აღმოჩნდნენ ხობელები, მათ მეტოქე პენალტების სერიაში 5:4 დაამარცხეს და ღირსეულად დაისაკუთრეს ზედიზედ მეორედ ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასი და სიგელი.

მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ ფოთელ ფეხბურთელებს.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციებში.

საუკეთესო მეკარე გახდა–გიორგი მალანია (ხობი)

საუკეთესო მცველი–ნიკოლოზ ხორავა (ფოთი)

საუკეთესი ნახევარმცველი–ლევან ხოზრევანიძე (ბათუმი)

საუკეთესო თავდამსხმელი–გიგი შენგელია (ფოთი)

საუკეთესო ბომბარდირი–ლუკა ვეკუა (ხობი)

საუკეთესო გოლის ავტორი–ნიკოლოზ შავგულიძე (კოლხეთი-2“)

საუკეთესო ფეხბურთელი–ნიკა ღადუა (ხობი)

მაყურებელთა სიმპათია გახდა ლევან გელანტია (ხობი).

ტურნირზე პრიზები დააწესეს, ვეტერანმა ფეხბურთელებმა ემზარ კაჭარავამ, ირაკლი ჯარჯალავამ. ნუტის მეგობრებმა რეზიკო ხვიჩიამ, მანუჩარ ლატარიამ. ნუტის ოჯახის მეგობრებმა კოტე მხეიძემ, დამსახურებულმა მწვრთნელმა მკლავჭიდში კობა თუთბერიძემ.

დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი გოჩა ქაჯაია, მერის მოადგილეები ბატონები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები ქალბატონი დოდო გაბუნია, ბატონები დავით ბერაია, ვლადიმერ ქანთარია, ტარიელ ალექსანდრია, ბათუმის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი ტარიელ შერვაშიძე, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი ბატონი პაატა ბერაია.

დაჯილდოების შემდეგ წუთიერი დუმილით კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს ნუტის ხსოვნას, ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი და აღნიშნეს მისი დაბადების დღე.

ნინო სიჭინავა.

ყვირძალი წასაკითხი

ნოდარ დუმბაძე



...დილით მამიდაშვილი შემოვიდა ჩემს ოთახში და მითხრა:–ვილაც ქალია, შენ გკითხულობსო.

–უთხარი შემოვიდეს.–ვთხოვე მე და სამუშაოს თავი დავანებე.

–ეზოში დგას, ალაგესთან, არ მოდის, თუ არ შეწუხდება, აქ მოვიდეს ერთი წუთითო.

რა გზა მქონდა, ეზოში ჩავედი. ალაგესთან 45-50 წლის ჭაღარა სოფლელი ქალი იდგა. ხელში რაღაცით სავსე სამლიტრიანი ქილა ეჭირა და უხერხულად იღიმებოდა. სათნო და ლამაზი სახე ჰქონდა.

–გამარჯობათ, ნოდარ ბატონო!–მომესალმა.

–გამარჯობათ, მობრძანდით სახლში!–მოვიპატიჟე ცალყბად, თან გულში გავიფიქრე, ძღვენით არის მოსული, დაიწყება ახლა: „შვილი მყავს მოსაწყობი“, ან „ამას მიმიწერე“, „იმას დაურეკე...“

–არა, ბატონო, მხოლოდ ერთი წუთით გეახელით.

–რაზე შეწუხებულხართ, ქალბატონო?

–ალბათ ვერ მიცანით, ნოდარ ბატონო.–მითხრა მან და ძალზე სევდიანად გაიღიმა.

–გამოგიტყდებით და, ვერა, ქალბატონო.–შემრცხვა, მაგრამ ტყუილი ვერ ვთქვი.

–არ მეგონა, თუ ვერ მიცნობდით.–მითხრა მან და თავი დახარა.

–რატომ გეგონათ, რომ გიცნობდით, ქალბატონო?!–გამეღიმა მე.

ნათელა ვარ მე, ნიჟარაძე, კუკურას დაი.–თქვა მან.

ნათელა!–საოცარი სისუსტე ვიგრძენი ხმაშიც, მკლავებშიც, მუხლებშიც...

–ნათელა!–გავიღიმე უნაიროდ და იქვე წაქცეული ხის გრძელ მორზე ჩამოვჯექი. იგი მოვიდა, ის ქილა ფეხებშუა ჩამიდგა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა. უხერხულობის დასაფარავად თუთუნის გახვევა დავიწყე.

–მაისის თაფლია, ნოდარ ბატონო, ჩემი ბუკისაა, სუფთა ქარვასავით.

–გმადლობთ, რაზე ირჯებოდი.

–სოფელში თქვეს–ჩამოვიდაო, გულს უჩივაო, აგი თაფლი გულის წამალია... შენი ძმაი იკითხა, კუკურა და მისი ცხენიო...

–თავი დავუქნიე უაზროდ.–რამდენი ხნით ჩამობრძანდით, ნოდარ ბატონო, მარტო ბრძანდებით თუ შემადგენლობით... - იგი ლაპარაკობდა წყვეტილად, თავაუღებლად. ხმა უთრთოდა.

–როგორ ხარ, ნათელა?–შევაწყვეტინე ლაპარაკი... მან სული მოითქვა და თვალებში შემომხედა.

–ჩემი არ იყოს, ხანი შეგპარვია, ნოდარ ბატონო! ახლა ხომ არ უჩივით რამეს?

–ჩემი საქმე გამორკვეულია. შენ როგორ ხარ, ნათელა?

–ვარ ისე, როგორც შეეფერება სოფლის დედაკაცს.

–მაინც?

–ჩაის ვკრეფ, ყანას ვთოხნი, საქონელს ვწველი, ქმარ-შვილს ვუვლი.

–გათხოვდი?

–გვიან გავთხოვდი, ნოდარ ბატონო... ოთხი შვილი მყავს, ოთხივე სწავლობს...

–ქმარი კარგი მყავს, წესიერი კაცია, მშრომელი...

–სახლში შემოდი, ნათელა! –ვთხოვე მე და წამოვდექი.

–არა, ჩემო ბატონო, აღარ შეგაწუხებთ.–თქვა და უხერხულად შეიშმუშნა. მივხვდი, რაღაც აწუხებდა, მაგრამ თქმა ეუხერხულებოდა.

–რაღაც გაწუხებს, ნათელა, და მითხარი, ნუ მომერიდები, - ვუთხარი მე.

–აგერ, ეს მოგიტანეთ, არ იფიქროთ, რომ... სხვანაირად ნუ ჩამომართმევთ და... თქვენ ახლა სახელიანი კაცი ბრძანდებით, თქვენ უფრო გამოგადგებათ, რამეში გამოიყენეთ, მე კი... - მან რაღაც ძველი, გაცრეცილი ქაღალდი გადმომცა ათრთოლებული ხელით.

–რა არის ეს, ნათელა?

–ლექსია. თქვენი დაწერილი...–გული გამიწვრილდა ცნობისმოყვარეობისაგან, ქაღალდი გავხსენი და ელდა მეცა.

წიფნაგვარელი ნათელა ულამაზესი ქალია, ო, ჩემო ციცინათელავ, ჩემო ციხევ და გალია...

და შემდეგ: შენი თვალები მაღლები სამხრეთის ზღვების ფერია, კბილები თეთრი ძაღლები მიღრენენ, არაფერია. მოგონებებში წასული შენს ბაგეს დავეხარბები, ოცნების ორი ასული

გადაწოლილან წარბები,. გადაუთიბავთ თივები...

...და მე გუშინდელ დღესავით გამახსენდა, როგორ შევიზიარე გალაკტიონი ჩემი ბავშვობის სიზმრებში დაბადებულ პირველ სიყვარულში, როგორ მიმქონდა მისგან სესხი, რომელსაც არასდროს არ აბრუნებენ, და როგორ ვკვებავდი ამ საზრდოთი ჩემი და ნათელას სიყვარულის მშიერ სულს.

–კიდევ ბევრი ლექსი მაქვს თქვენი, მაგრამ ეს ყველაზე კარგია, ცოდვაა ამის ასე დაკარგვა... - მითხრა მან.

–და შენ ეს ლექსი არავისთვის არ გიჩვენებია?

–რას ბრძანებთ, ჩემზე დაწერილ ლექსს სხვას როგორ წავაკითხებდი?

–მითხრა მან და გაკვირვებულმა შემომხედა.

–არც შვილებს?

–არც შვილებს და არც არაფერ სულიერს,–მიპასუხა. ერთი ტირილი ქვეყანას მერჩია.

–კარგი ქალი ხარ, ნათელა, შენ. მაპატიე, რომ ვერ გიცანი, ახლა კი გიცანი და გამახსენდი, მაგრამ ვაი რომ გვიანია. მაპატიე, ნათელა!

–რა გჭირთ, ბატონო, ჩემი საპატიებელი?!

ნათელას გაეღიმა. მერე ისევ დუმილი ჩამოვარდა.

–ნათელა!

–ბატონო?!

–სუყველაფერი გამახსენდა, კუკურა, კუკურას ცხენიც, ჯარში რომ ერთად დაუძახეს. ის დღეც კი მახსოვს, ძროხას რომ ყიდდით შენ და კუკურა და მერე ფული რომ უკან დაუბრუნეთ... ის თუ გახსოვს, კაცია მუნჯაძის სიზმრის და მატარებლის ამბავი! - ნათელა ხმას არ იღებდა. - თუმცა, როგორ არ გემახსოვრება, იმ დღეს არ შეიცხადეს კუკურა?.. ლექსებს რომ გიკითხავდი ზვინის ძირში და რომ დაგვეძინა უცებ ორივეს... ისიც გახსოვს ალბათ.

ნათელა წამოდგა, თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი და ნიკაპთან ეკვროდა.

–ბიჭო ნოდარა, სძინავს მაგას ყველაფერს ჩემში და ნუ გააღვიძებ, შენ შემოგევლე - მთხოვა მან. მე ავიღე, ქალისათვის შეუფერებელი შრომისაგან დაკოჟრილი და დამსკდარი მისი ხელი, მოწიწებით ვაკოცე და გული ამომიჯდა. მან ძალიან ფრთხილად გამომართვა ხელი, გულის მხარეს მკერდზე მაკოცა, მერე შეტრიალდა და წავიდა.

–მაპატიე, ნათელა! - ვთქვი მე. ნათელამ არაფერი არ მიპასუხა, ისე გადავიდა ალაგეზე. მე დიდხანს ვიდექი იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც მოიხედავს-მეთქი, მაგრამ ნათელას არ მოუხედია. იგი წავიდა და ასე უკანმოუხედავად წაიღო თან ჩემი საბრალო ბავშვობა.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.